გიორგი კეკელიძე

წერილები შენ

ეძღვნება თ. რ.–ს.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2018

ავტორი
გიორგი კეკელიძე

ფოტოგრაფი
ნათელა გრიგალაშვილი

სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი
ჯულიეტა ანდღულაძე

რედაქტორი
მარინა ჟღენტი

დამკაბადონებელი
ნათია დვალიშვილი

ISBN 978-99940-50-77-2
ყველა საავტორო უფლება დაცულია.

წერილები შენ

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2018
მერაბ კოსტავას გამზირი 77ა, თბილისი
ელფოსტა: **info@ug.edu.ge**

სარჩევი

მარადიული სიყვარულის ანატომია....4
სიყვარულის მათემატიკა....6
სიყვარულის დუმილით ახსნა ან დუმილის სიყვარულით....8
ხელის თხოვნა. ნელინადის დროები....10
სიყვარულის სხვა გაკვეთილი....12
სიყვარულის ინსტრუქციები....14
სიყვარულის დახუჭობანა....16
სიყვარულის გეოგრაფია....18
სიყვარულის უასაკობა....20

მარადიული სიყვარულის ანატომია

თუ ჩემი ხელის გაწვდენაზე არ მეგულები, თუ ჩემი თვალის გაწვდენაზე ვეღარ გიპოვე — ჩემი ფიქრების გაწვდენაზე მაინც იქნები, რადგან ყველაზე გრძელი მაინც ფიქრის მზერაა. მზის სინათლეს ჰგავს. მე მოვკვდები და ის დარჩება და შენც, ალბათ, მასში დარჩები. ალბათ, ეს არის სიყვარული მარადიული, როდესაც ფიქრში გამოკეტავ ერთმანეთს და ფიქრს მიწაზე არ გამოკეტავ და ის უჩვენოდ გადაუფრენს საუკუნეებს.

სიყვარულის მათემატიკა

არაზუსტია სიყვარულის მათემატიკა. სკოლის შენობის ზურგზე მიწერილ მარტივ ფორმულას – ამას + ის = სიყვარულს, დრო ხან წევრს და ხან პასუხს უცვლის. ამიტომაც, ვერავინ დაწერა სიყვარულის სახელმძღვანელო. და თუ დაწერა, მეორე წელს ვეღარ ივარგა. ან გმირები მაშინ დახოცა, როცა რომეოს და ჯულიეტას ტოლები იყვნენ და ამით ცოტა ცინიკურად გვითხრა: სიყვარული მხოლოდ მაშინაა მარადიული, თუ მას მწვერვალზე სიკვდილი მიუსწრებს. ჰო, 30 წლის რომეო ალბათ ჰამლეტს დაემსგვასებოდა.

ამიტომაც, ფორმულები უნდა წავშალოთ. უფრო სწორედ, მხოლოდ მე და შენ უნდა დავრჩეთ, მხოლოდ პლუსით. თუ რას ვუდრიავართ, ამაზე დრომ იმტვრიოს თავი – ხვალ, ზეგ და მაზეგ.

სიყვარულის დუმილით ახსნა, ან დუმილის სიყვარულით

სიტყვებს ვთლი და ჭერში ვაწყობ. ზამთრისთვის ვინახავ. ჯერ ხომ ისევ გაზაფხულია – დუმილიც გვყოფნის. ვსხედვართ, ერთმანეთს არ ვუყურებთ, შორს ვიყურებით და იქით, შორსაც უფრო ცხადად ვამჩნევთ ერთმანეთს – ალბათ ეს არის სიყვარული. ასე, სიჩუმით და იოლად ვუხსნით ერთმანეთს – გრძნობებზე თასმებს, ფიქრზე ჯადოს – ბოლოს სიყვარულს. მიყრდნობილი ერთმანეთს ჩრდილით, ამ დიდ სიჩუმეს ვაკვირდებით, ვუსმენთ, რომ მერე ისევ ერთმანეთს ჩავაბაროთ სადმე ზეპირად. მერე, ზამთრისთვის. სიტყვებს რომ ვთლი და ჭერში ვაწყობ. ჭერში ვინახავ.

ხელის თხოვნა. ნელინადის დროები

მე არ ვესწრებოდი შენი თვალების გაზაფხულს, როცა ის ამწვანდა და სხვა ქარები აშრიალებდნენ. მე მოვედი ცოტა გვიან, ოღონდ არავის ნაკვალევზე. სულ სხვა გზით მოვედი და მინდა ადრე, მომავლისთვის მონაგონი განაჩენი გაგიმეორო: შენი მწვანე თვალების შემოდგომა მინდა ვიყო – ერთად მინდა მოკვდეთ ზამთარში.